ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
--

დაფინანსების წყარო

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	65 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	65 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტში უკიდურესად გაჭირვებული და ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახების სოციალური მდგომარეობის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება
--

ქვეპროგრამის აღწერა:

ქედის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორია, რომელთა საცხოვრებელი სახლები სიძველით ამორტიზირებულია და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან აღნიშნულ ოჯახებს არ გააჩნიათ ახალი საცხოვრებელი სახლების აშენების ან აღდგენის რესურსი, მუნიციპალიტეტის მერია აუშენებს ახალ კაპიტალურ საცხოვრებელ სახლებს. ბენეფიციართა შერჩევა მოხდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამაში ჩაერთვება 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ოჯახები.
--

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენა	3	21 666.67	65 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური დახმარება		X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (outputs)	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მეთოდოლოგია
	დასახელება	2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი				
გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები	პროგრამით მოსარგებლე ოჯახთა რაოდენობა	-	3	5	8	10	რაოდენობა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

დამატებითი ინფორმაცია:

1. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება შესაბამისი კომისიის ოქმისა და ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.
მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
 2. პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ფიზიკური პირი, რომელიც არის ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები და სხვა ალტერნატიული ფართის არმქონე სოციალურად დაუცველი.
- ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
3. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.
 4. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.
 5. ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის პირადობის მოწმობის და არასრულწლოვანების დაბადების მოწმობის ქსეროასლები.
- შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭება:**
- 1 იმ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 65 000-მდე;
 2. ოჯახებს სადაც ცხოვრობენ შშმ სტატუსის მქონე პირები;
 3. მრავალშვილიანი ოჯახები (18 წლამდე ოთხი და მეტი).
 4. მრავალსულიანი ოჯახები;
- შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად.

ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 02	მერია	27500	შრომის ანაზღაურება 3500, საქონელი და მომსახურება 16500 და არაფინანსური 7500
2	01 01	საკრებულო	7400	არაფინანსური აქტივები 7400
3	02 00	კომისარიატი	7000	საქონელი და მომსახურება 7000
4	03 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა- ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	3000	საქონელი და მომსახურება 3000
5	03 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა	2000	საქონელი და მომსახურება 2000
7	-	შემოსავლები (შეერეული და სხვა არაკლასიფიცირებული 40000 და არაფინანსური აქტივები 27000, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 6000 ლ.)	73000	
8	06 01 01	ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	300	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
9	06 01 05	პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	2100	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
10	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატულო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	4800	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
11	06 02 06	ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	1800	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
12	06 02 09	საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	1700	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
13	06 02 10	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური დახმარება	10000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
14	03 02 01 21	სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მიწების შეძენა	550	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
15	03 02 01 04	წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვარჯანისში არსებული სასმელი წყლის რემონტი	7400	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
16	03 02 01 03	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კოკოტაურში 3 კმ. სიგრძის ახალი წყლის სისტემის მშენებლობა	2400	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
17	03 02 01 02	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახლში არსებული წყლის მაგისტრალის რემონტი(სათაო ნაგებობებისა და წნევაჩამხშობი ჭების რემონტი)	3700	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
18	03 02 01 01	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუნდავაში 2,5 კმ. სიგრძის ახალი წყლის სისტემის მშენებლობა	750	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
19	04 01 02 03	მუნიციპალიტეტში არსებულ ზაგა-ზადებში ეზოების კეთილმოწყობა და ატრაქციონების შეძენა	20000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
20	05 03 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	2190	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
ჯამი			177590	

№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	03 02 02	შ.პ.ს. ქედის წყალკანალი	18000	სუბსიდია მათ შორის:(საპენსიო 2335 ლ, შრომის ანაზღაურება 1020 ლ, ჯილდო 5075ლ წყლის სინჯები 5000 ლ და საწვავი 4570ლ)
2	03 02 03	შ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი	30000	სუბსიდია
3	05 02 03	ააიპ ქედის მუზეუმი	3500	1900ლ. შრომის ანაზღაურება, 800 ლ. შტატგარეშე, 800 ლ. ტრანსპორტი და 1090ლ. არაფინანსურიდან ტრანსპორტში.
4	05 02 02	ააიპ ქედის ხელოვნების სკოლა	1300	შრომის ანაზღაურება 1300 ლ, არაფინანსურიდან შრომის ანაზღაურების მუხლში 3500 ლ.
5	05 01 01	ააიპ ქედის სასპორტო სკოლა	3000	შრომის ანაზღაურება 3000 ლ, 1770 ლ. გადატანა საქონელი და მომსახურებიდან შრომის ანაზღაურებაში
6	05 02 01	ააიპ ქედის კულტურის ცენტრი	70000	შრომის ანაზღაურება 42300 ლ. საქონელი და მომსახურება მათ შორის: შტატგარეშე 19000ლ. სხვა დანარჩენი 4500, სოციალური უზრუნველყოფა 4200 ლ, არაფინანსურიდან საქონელი და მომსახურებაში -6500 ლ.
7	05 01 03 01	შპს საფეხბურთო კლუბი ბეთლემი	12600	სუბსიდია (შრომის ანაზღაურება 11800ლ, 800 სპორტული ინვენტარი და 1580 ლ საწრთვნო შეკრებებიდან შრომის ანაზღაურების მუხლში)
8	01 03	სარეზერვო ფონდი	15000	სხვა ხარჯები
9	06 01 02	ამბულატორიული მომსახურება	2500	სუბსიდია
10	06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვისერთჯერადი მატერიალური დახმარება	8000	სოციალური უზრუნველყოფა
11	06 02 04	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება	4000	სოციალური უზრუნველყოფა
12	06 02 07	სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	2000	სოციალური უზრუნველყოფა
14	05 02 04	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	3000	საახალწლო ღონისძიებისათვის
15	01 06	სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	2500	სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
16	05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	2190	საქონელი და მომსახურება
ასიგნებების ჯამი			177,590	X
ს ხ ვ ა ო ზ ა			0	X

შენიშვნა: აღნიშნული ცვლილებებით ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდება 73 000 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2019 წლის --ნოემბერი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის -- ნოემბერი.

4.ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის -- ნოემბერი.

5.წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2019 წლის -- ნოემბერს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2019 წლის -- ნოემბერს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2019 წლის -- ნოემბერი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N -----

2019 წელი ----- ნოემბერი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის
განხორციელების წესის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 85-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესი დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის მერმა, პროგრამული ბიუჯეტის მომზადების პროცესში, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით, ყოველწლიურად უზრუნველყოს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელება.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს ყოველწლიურად მოსაწონებლად წარუდგინოს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფორმების (ტერიტორიული, თემატური, შერეული), ზონების და დაფინანსების მოცულობის შესახებ გადაწყვეტილების პროექტები.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

შუქრი თურმანიძე

----- მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის
განხორციელების წესის დადგენის შესახებ

ეს წესი განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების ძირითად პრინციპებს, მოქალაქეთა მიერ პროექტების შედგენის, განხილვის, წარდგენისა და მუნიციპალიტეტის მიერ ამ პროექტების შესაბამისი წლის ბიუჯეტში ასახვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურებს.

კარი პირველი
საერთო დებულებები

თავი პირველი
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ცნება

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) არის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომლის ამოცანაა, მოქალაქეების საკუთარი პასუხისმგებლობით, მათი შესაძლებლობების გაძლიერებითა და ჩართულობით უზრუნველყონ მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილის განკარგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულია იღებენ, ბიუჯეტში გაითვალისწინონ და განახორციელონ ამ დადგენილებით და შესაბამისი ნორმატიული და ინდივიდუალური აქტებით დადგენილი წესით მოქალაქეების მიერ წარდგენილი და შერჩეული პროექტი(ებ).
2. მუნიციპალიტეტის თითოეული წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის ოდენობა.
3. მუნიციპალიტეტის მერი (შემდგომში - მერი) უზრუნველყოფს პროგრამის და პროგრამის ფარგლებში წარდგენილი პროექტების (შემდგომში - პროექტი) შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებას, კამპანიის წარმოებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფს შესაბამის დაფინანსებას.

მუხლი 2. პროგრამის პრინციპები

1. პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) საჯაროობა;

გ) კოლეგიურობა;

დ) მოქალაქეთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაზრდა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში;

ე) საბიუჯეტო სახსრების სამართლიანი განაწილება;

მუხლი 3. პროგრამის სახეები

1. პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს ტერიტორიული, თემატური ან შერეული სახით;

2. პროგრამის ტერიტორიული სახით განხორციელება ნიშნავს, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ნაწილდება საკრებულოს მიერ შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული ზონების მიხედვით;

3. პროგრამის თემატური სახით განხორციელება ნიშნავს, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ნაწილდება საკრებულოს მიერ შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული თემების მიხედვით.

4. პროგრამის შერეული სახით განხორციელება ნიშნავს, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრების განაწილება მოიცავს როგორც ტერიტორიულ, ისე თემატურ ნიშანს და თითოეულზე განაწილებულია განსაზღვრული სახსრები.

5. პროგრამის სახე, გასანაწილებელი საბიუჯეტო სახსრების მოცულობა, პროგრამისა და პროექტების საინფორმაციო კამპანიისთვის საჭირო დაფინანსების მოცულობა ყოველწლიურად თანხმდება მუნიციპალიტეტის მერს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის და მერის მიერ აისახება ბიუჯეტის პროექტში, პროექტის საკრებულოში წარდგენამდე.

6. მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამის დადგენილი პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ ან/და ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს.

თავი მეორე

მუხლი 4. პროგრამის განმახორციელებელი ორგანოები და დოკუმენტები

1. პროგრამის დაგეგმვასა და წარმართვაზე პასუხისმგებლები არიან მერი, საკრებულო და პროგრამის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო);

2. პროგრამის წლიურ სამოქმედო გეგმას, საბჭოს წარდგინებით, ბრძანებით ამტკიცებს მერი;

3. პროგრამის განხორციელების თაობაზე გაწეული სამუშაოს შესახებ საბჭო ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს მერს და საკრებულოს.

მუხლი 5. პროექტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირი

1. პროექტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაზე პასუხისმგებლები არიან პროექტის ავტორი და საბჭო;
2. პროექტის საინფორმაციო კამპანიის ფინანსურ, მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მერი.

მუხლი 6. ინფორმირების ფორმები

პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნებისთვის საბჭო ქმნის პროგრამის საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამისა და მის ფარგლებში წარდგენილი პროექტების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების ფორმებსა და მეთოდებს.

თავი მესამე

საბჭო

მუხლი 7. საბჭო

1. პროგრამის განხორციელებისათვის მერთან იქმნება საბჭო;
2. საბჭოს შემადგენლობას და საბჭოს ხელმძღვანელს ამტკიცებს მერი;
3. საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საკრებულოს შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები, შესაბამისი მაჟორიტარი დეპუტატები და პროექტების ავტორები;
4. მერი უფლებამოსილია, საბჭოს შემადგენლობაში მოიწვიოს პროფესიული, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
5. საბჭო ანგარიშვალდებულია მერთან.

მუხლი 8. საბჭოს უფლებამოსილებები

1. საბჭო უფლებამოსილია:
 - ა) შეიმუშაოს და მერს დასამტკიცებლად წარუდგინოს პროგრამის წლიური სამოქმედო გეგმის პროექტი;
 - ბ) შეიმუშაოს პროგრამის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წლიური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

გ) დამტკიცებული დოკუმენტების ფარგლებში უზრუნველყოს პროგრამის, მისი საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულება;

დ) შეიმუშაოს და მერს დასამტკიცებლად წარუდგინოს საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმები;

ე) კოორდინაცია და საკონსულტაციო მხარდაჭერა გაუწიოს მოქალაქეებს/საინიციატივო ჯგუფებს საპროექტო წინადადებების მომზადების პროცესში;

ვ) დაარეგისტრიროს მოქალაქეების/საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები;

ზ) მოახდინოს საპროექტო განაცხადების პირველადი ტექნიკური გადარჩევა ამ დადგენილების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით;

თ) ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობისათვის პროექტების წარდგენისა და განხილვის, შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმართვის პროცესს;

ი) ორგანიზება გაუწიოს დასახლებებში შემოსული პროექტების ხმის მიცემის პროცედურას;

კ) მოამზადოს და დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოსთვის წარსადგენი პროგრამის მიმდინარეობის ანგარიშები;

ლ) არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, მერს წარუდგინოს მომავალი წლის ბიუჯეტში პროგრამით განსაზღვრული და მოქალაქეების მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებების ნუსხა.

მუხლი 9. საბჭოს სხდომების მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება

1. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს ხელმძღვანელის მიერ;
2. საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.
3. საბჭოს სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომლის შედგენას საბჭოს ხელმძღვანელი ავალებს საბჭოს რომელიმე წევრს, ან მერიის შესაბამის მოხელეს;
4. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს საბჭოს ხელმძღვანელს ან საბჭოს წევრთა 1/3-ს.
5. საბჭოს რიგგარეშე სხდომის ინიცირების უფლება აქვს, აგრეთვე, საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლების მქონე პირთა 1/3-ს. ინიცირება წარედგინება საბჭოს ხელმძღვანელს, რომელიც წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას.

თავი მეოთხე

მერის და საკრებულოს უფლებამოსილებები

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის მერი

1. პროგრამის განხორციელების პროცესში, მერი:

ა) საკრებულოსთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის განხორციელების ფორმის, ზონებისა და დაფინანსების მოცულობასთან დაკავშირებით;

ბ) ამტკიცებს საბჭოს, საბჭოს დებულებას, საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და საბჭოს ხელმძღვანელს;

გ) საბჭოს წარდგინებით, ბრძანებით, ამტკიცებს პროგრამის წლიურ სამოქმედო გეგმას;

დ) იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისა და პროექტების საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისთვის საჭირო ფინანსური სახსრების გამოყოფის შესახებ;

ე) არის გარანტორი, რომ ყველა პროექტს ექნება თანაბარი საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;

ვ) უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას;

ზ) შესაბამის სამსახურებს ავალებს საბჭოს მიერ წარდგენილი საპროექტო განაცხადების საფუძველზე შესაბამისი პროექტის მომზადებას;

თ) იღებს გადაწყვეტილებას შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვის შესახებ.

ი) იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო განაცხადების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღების შესახებ;

კ) ამტკიცებს პროექტების შერჩევის მიზნით გასამართი კენჭისყრის ფორმას და პროცედურებს

ლ) ამტკიცებს საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმებს;

მუხლი 11. საკრებულო

1. პროგრამის განხორციელების პროცესში საკრებულო:

ა) განკარგულების ფორმით, ყოველწლიურად, იწონებს მერის გადაწყვეტილებას პროგრამის განხორციელების ფორმის, ზონებისა და დაფინანსების მოცულობის შესახებ;

ბ) შესაბამის კომისიებში იხილავს, იძლევა შეფასებებს და რეკომენდაციებს პროექტების მიმდინარეობასთან და შედეგებთან დაკავშირებით;

გ) ისმენს საბჭოს ანგარიშს მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების თაობაზე გაწეული სამუშაოს შესახებ, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

თავი მეხუთე

საპროექტო განაცხადების შერჩევის პროცესი

მუხლი 12. საპროექტო განაცხადი და განაცხადების მიღების ვადები

1. საპროექტო განაცხადის ფორმები მტკიცდება მერის მიერ და ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე წერილობითი ფორმით ყველა დაინტერესებული საინიციატივო ჯგუფისა თუ მოქალაქისთვის;
2. საპროექტო განაცხადები მიიღება მერის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 13. საპროექტო განაცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები

1. საპროექტო განაცხადის შეტანა შეუძლია:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეთა ჯგუფს (საინიციატივო ჯგუფი);

გ) დასახლების საერთო კრებას;

დ) პროგრამის ტერიტორიული სახით განხორციელების დროს, მხოლოდ იმ პირს ან საინიციატივო ჯგუფს, რომელთა წევრებიც რეგისტრირებული არიან საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ზონაში შემავალ რომელიმე დასახლებაში, აგრეთვე, შესაბამისი დასახლების საერთო კრებას.

მუხლი 14. საპროექტო განაცხადების მიღება და პირველადი გადარჩევა

1. საპროექტო განაცხადების წარდგენა შესაძლებელია როგორც მერიაში, ისე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან. მერია უფლებამოსილია, პროგრამის საპროექტო განაცხადების მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოს დამატებით ადგილები;

2. საპროექტო განაცხადს ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და გადაეცემა საბჭოს შესაბამისი ფუნქციით აღჭურვილ პირს.

3. საბჭო, საპროექტო განაცხადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ასრულებს პირველად გადარჩევას და შესაბამის პასუხებს აცნობებს საპროექტო განაცხადის ავტორებს;

4. საბჭო საპროექტო განაცხადების პირველადი გადარჩევის დროს ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) საპროექტო განაცხადის იდეა შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა ფარგლებში;

ბ) შემოტანილია უფლებამოსილი პირის მიერ;

გ) პროექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება აღნიშნული ზონისთვის/თემატიკისთვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს;

დ) დაცულია ამ დადგენილებით განსაზღვრული სხვა პირობები.

მუხლი 15. შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვა

1. შერჩეული პროექტები, საბჭოს რეკომენდაციით, წარედგინება მერს ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა.

2. შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვისა და პროექტირების ეტაპზე მერი და საბჭო ვალდებული არიან, უზრუნველყონ პროექტის ავტორის ინფორმირება.

თავი მეექვსე

პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

მუხლი 16. პროექტის განხორციელება

1. პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება პროექტის ავტორს, ასევე, პროაქტიულად გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე;

2. მერი უზრუნველყოფს პროექტის ავტორის ჩართვას პროექტის მონიტორინგის პროცესში.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი: დადგენილების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების ძირითად პრინციპების, მოქალაქეთა მიერ პროექტების შედგენის, განხილვის, წარდგენისა და მუნიციპალიტეტის მიერ ამ პროექტების შესაბამისი წლის ბიუჯეტში ასახვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურების განსაზღვრა.

ბ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან:

ნორმატიული აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სამართლებრივ აქტებს.

გ. ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულა.

დ) ნორმატიული აქტის ავტორები:

ექსპერტები: ირაკლი მელაშვილი, კუკური კილურაძე და მაგდა პოპიაშვილი

ე) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე.

ვ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი - ლევან გორგილაძე.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი: დადგენილების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების ძირითად პრინციპების, მოქალაქეთა მიერ პროექტების შედგენის, განხილვის, წარდგენისა და მუნიციპალიტეტის მიერ ამ პროექტების შესაბამისი წლის ბიუჯეტში ასახვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურების განსაზღვრა.

ბ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან:

ნორმატიული აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სამართლებრივ აქტებს.

გ. ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულა.

დ) ნორმატიული აქტის ავტორები:

ექსპერტები: ირაკლი მელაშვილი, კუკური კილურაძე და მაგდა პოპიაშვილი

ე) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე.

ვ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი - ლევან გორგილაძე.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2019 წლის -- ნოემბერი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებით (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.134.016247) დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები - თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და მათი იერარქიული რანგების ცხრილის „27-ე“ გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში	3	800“
-----	-----------	--	---	------

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია მერის მოადგილის ვაკანტური შტატის გაუქმება და პირველი და მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოს ახლიდან განსაზღვრა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტში- „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება რათა სამართლებრივად ახლებურად მოწესრიგდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები - თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და მათი იერარქიულ რანგები.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილებით დამტკიცებულ დანართის „27-ე“ გრაფაში „შტატის რაოდენობის სვეტში“ რაოდენობა ერთით გაიზარდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად კერძოდ:

„27“	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში	3	800“
------	-----------	--	---	------

დადგენილების მეორე მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას, კერძოდ: თანამდებობრივი სარგოს თვეში 800 ლარის ოდენობით.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

2019 წლის -- ოქტომბერი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს №44 განკარგულებით დამტკიცებულ დანართ №1-ში შეტანილი იქნას ცვლილებები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გორგილაძეს).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358)

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტი შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცებას და დამტკიცებულ ნუსხაში ცვლილებების შეტანას ახორციელებს აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნუსხის დადგენა, რომელითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული ან საჯარო აუქციონის ფორმით განხორციელდეს პრივატიზება - საკუთრებაში გადაცემა როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებს;

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს N40 განკარგულებით დამტკიცებულია მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხა, სადაც შეტანილია 20 ერთეული ქონება. ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში დამატებით შესატანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ორი ერთეული ქონება, კერძოდ: 1. სოფელ ზესოფელში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 150 კვ. მეტრი (ს/კ 21.06.32.177). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 975 ლარად. 2. ავტომანქანა უაზი-31519. სახ. ნომერი WWS-979. რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 2000 ლარად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრები ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. სადაც განთავსდება საწარმოო დანიშნულების ობიექტი, რომელშიც დასაქმდება მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა და მცირე საწარმოს ან, მომსახურების ობიექტის შექმნით, დამატებით ეკონომიკური სარგებელი გაუზრდვება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

ასევე, საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოსაღებია ერთი ერთეული ქონება რომელიც გაყიდულია საჯარო აუქციონის გზით. კერძოდ: სოფელ მენწმანში მდებარე 7439,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.03.31.183).

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების შემდეგ, მიმდინარე წელში დროულად განახორციელოს დაგეგმილი აუქციონის გამოცხადება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან

მუნიციპალიტეტი მიიღებს პრივატიზაციის შედეგად გასხვისებული ქონების საფასურს, რომლის ოდენობაც დაფიქსირდება აუქციონის საბოლოო შედეგის დროს.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (ს. ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

დანართი N1								
ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონება) ნუსხა								
N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენობა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის სარეგისტრაციო N	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.00	21.03.33.072	17430.00	
2	ყოფილი თამბაქოს საწყობი	დაბა ქედა, აღმაშენებლის ქუჩა N17	ქედის მუნიციპალიტეტი	403.00	290.00	21.03.35.073	12410.00	
3	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.00	21.01.37.007.01.500	18594.00	
4	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.00	21.05.33.026	6922.00	
5	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.00	21.03.35.005	106233.00	
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფელი საფარიძეები (დოლოგანი)	ქედის მუნიციპალიტეტი		135.00	21.01.31.007	1350.00	
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფელი ახო	ქედის მუნიციპალიტეტი		550.00	21.08.34.022	4400.00	
8	დტ-75 ტიპის (მარკის) ტრაქტორი	სოფელი ცხმორისი	ქედის მუნიციპალიტეტი				0.32	1 კგ ჯართის ფასი აუდიტის დასკვნის შესაბამისად არის 0.32 თეთრი
9	დტ-75 ტიპის (მარკის) ტრაქტორი	სოფელი ზვარე	ქედის მუნიციპალიტეტი				0.32	1 კგ ჯართის ფასი აუდიტის დასკვნის შესაბამისად არის 0.32 თეთრი

10	დტ-75 ტიპის (მარკის) ტრაქტორი	სოფელი მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი				0.32	1 კგ ჯართის ფასი აუდიტის დასკვნის შესაბამისად არის 0.32 თეთრი
11	საწვავის ცისტერნა (25 ტონიანი) 4 ცალი	დაბა ქედა	ქედის მუნიციპალიტეტი				1000.00	
12	რკინის საწოლი - 46 ცალი	დაბა ქედა	ქედის მუნიციპალიტეტი				138.00	
13	ავტომანქანა უაზი (ჯართის სახით)	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი				0.32	1 კგ ჯართის ფასი აუდიტის დასკვნის შესაბამისად არის 0.32 თეთრი
14	ავტომანქანა უაზი (სასწრაფო) (GMB-973)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				4500.00	
15	ავტომანქანა ნივა ვაზ. 2121 (BAX-215)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				550.00	
16	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დ.ქედა, ვაჟა- ფშაველას ქ.7	ქედის მუნიციპალიტეტი		96.00	21.03.33.325	1056.00	
17	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დ.ქედა, 9 აპრილის ქ.	ქედის მუნიციპალიტეტი		40.00	21.03.35.425	560.00	
18	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დ.ქედა, აბუსერიძის ქ N16 ის მიმდებარედ	ქედის მუნიციპალიტეტი		662.00	21.03.34.461	5320.00	
19	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ქედა მახუნცეთი (აწვესი)	ქედის მუნიციპალიტეტი		185.00	21.01.37.655	3700.00	
20	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ზესოფელი (კოლომბრისი)	ქედის მუნიციპალიტეტი		150.00	21.06.32.177	975.00	
21	ავტომანქანა უაზი-31519 (WWS-979)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				2000.00	